

საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადება

საზოგადოებრივი მაუწყებელი განაგრძობს საქართველოს კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობის განუხრელად შესრულებას.

კერძოდ, მაუწყებელი ახდენს საქართველოს მოქალაქეების სრულ, პირუთვნელ და ობიექტურ ინფორმირებას ქვეყანაში მიმდინარე ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესის შესახებ, რისი დასტურიცაა: საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ გამოშვებები, მაუწყებლის ეთერში ორგანიზებული დებატები და ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუები.

თოქშოუებთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თოქშოუების ავტორების (მათ შორის ეკა კვესიტაძის) მიერ გადაცემების მომზადების პროცესში გარე სარედაქციო ჩარევა არ ხდება და ბადეში ცვლილებაც არ იგეგმება. შესაბამისად, ნებისმიერ ავტორს სრული შემოქმედებითი თავისუფლება გააჩნია მაყურებელს წარუდგინოს ის პრობლემები, სტუმრები და სიუჟეტები, რომლებიც მათი აზრით საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება.